



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
ტარმომაღალობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL



ოქმი № 12

„ 11 „ დეკემბერი

2019 წ.

დადგენილება № 50

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ მასის ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქმეს ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის N 23 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში“ და აღნიშნული დებულების:

1.1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა დეკანის, უხუცესი წევრის ან საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ).“

1.2. მე-3 მუხლი მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იყოს მისი ყველა წევრი. საბჭო უფლებამოსილია მიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა იმ შემთხვევისა როცა განიხილება დეკანის არჩევის და დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.“

1.3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

9. დეკანის ან მისი მოადგილის დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, გადაუდებელი საჭიროებისას საბჭოს სხდომის მოწვევის და წარმართვის უფლება აქვს უხუცეს წევრს. რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს იმავე სხდომაზე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

1.4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები

1. ფაკულტეტზე ხორციელდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამები.

2. თითოეულ პროგრამას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც
ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და რომელიც ვალდებულია პასუხი აგოს სასწავლო და
სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე.“

1.5. მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არა
უგვიანეს 1 თვის ვადაში.“

1.6. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეკანის დროებით არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეკანის უკლება-მოვალეობას.“

1.7. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ფაკულტეტის სპეციალისტი

სპეციალისტი:

- ა) უზრუნველყობს ფაკულტეტზე არსებული სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვა
დოკუმენტაციის წარმოებას და დაცვას;
- ბ) მომსახურეობას უწევს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო პროცესთან
დაკავშირებულ საკითხებზე;
- გ) ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.“

1.8. მე-11 მუხლი ამოღებული იქნეს

1.9. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 13. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

„1. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“
საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და
საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და
საქართველოს უნივერსიტეტის წაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამებზე.

2. იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამებზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს
კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის
დებულებით.“

1.10. მე-14 მუხლის მე-8 პუნქტი ამოღებული იქნეს.

1.11. მე-14 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის
ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად.“

1.12. მე-14 მუხლის მე-11 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს იურიდიულ ფაკულტეტს.
4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2019 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება N16.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ო. ჩილაძე

ლავრენტი ჩიბურდანიშვილი